ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

20 მარტი
ხუთშაბათი
2025 წელი
№12(9378)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

2025 წლის 14 მარტს გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს ,,ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №21 დადგენილებაში.

მერიას თანხმობა მისცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემაზე;

დეპუტატებმა განსაზღვრეს ადგილები ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ საზღვრებში, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და საიდანაც რეგულარულად ხორციელდება საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანა.

იმსჯელეს დაბა ბაკურიანში მდებარე ზოგიერთი ქუჩის სახელწოდების და სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტის (ჩიხი, შესახვევი) სახელის მინიჭების შესახებ, ასევე ცვლილებები შევიდა ბაკურიანში მდებარე დავით აღმაშენებლის ჩიხის სახელწოდების და უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისათვის (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) სახელწოდების მინიჭების შესახებ.

,,ბაკურიანობა - 2025“ წარმატებით ჩატარდა

„ბაკურიანობა 2025”-ის ფარგლებში, კოხტაგორის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული ღონისძიებები შემდეგ სახეობაში გაიმართა:

თხილამურებით შეჯიბრი (გიგანტური სლალომი); მკლავჭიდი; დოღი;

საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების სპორტის მთავარმა სპეციალისტმა თამა ლამბრიანიძემ, სასპორტო სკოლის დირექტორმა ელიზბარ სტეფნაძემ და დაბა ბაკურიანში საკრებულოს დეპუტატმა დავით თედიაშვილმა, მედლებით, სიგელებით და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს.

ვულოცავთ
დიმიტრი ხაჩიძე ევროპის ჩემპიონია!



ბორჯომელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე დიმიტრი ხაჩიძე, რომელიც XXIII ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია, საქართველოში დაბრუნდა.

მასთან ერთად საქართველოში დაბრუნდნენ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გუნდი და სამწვრთნელო შტაბი, მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი **რევაზ ლაშხი**.

მოჭიდავეებს აეროპორტში სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ზურა ხაჩიძე**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**, მოადგილეები - **გიორგი ფერაძე** და **ნიკოლოზ კიკნაძე**, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი**, სასპორტო სკოლის დირექტორი **ელიზბარ სტეფნაძე**, სასპორტო სკოლის ჭიდაობის სექციის მწვრთნელები, ჭიდაობის სექციის მოზარდები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ოჯახის წევრები და მოქალაქეები დახვდნენ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - მოქმედებაში!

ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები განახლდა.

დვირის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების გამართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე**, საკრებულოს დეპუტატი დვირის ადმინისტრაციულ ერთეულში **ელზა კუჭუხიძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ სოფელ დვირში, ჭობისხევში, ქვაბისხევში, ჩითახევსა და ლარებში მაცხოვრებლებთან ერთად სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 436 000 ლარი გამოეყო, რასაც ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული 872 000 ლარი დაემატება. თითოეულმა სოფელმა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად თანხა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მიიღო.

სოფელ ტაძრისის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში გამართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოდგილე **გიორგი ტაბატაძე**, საკრებულოს დეპუტატი ტაძრისის ადმინისტრაციულ ერთეულში ვ**იოლეტა ბალახაშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ სოფელ ტაძრისის, საკირესა და დგვარის მოსახლეობასთან ერთად სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

სოფლებში - რველში, ზანავში, ვარდგინეთში, ბეშეთში და კორტანეთში გამართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოდგილე **გიორგი ტაბატაძე**, საკრებულოს დეპუტატი **ვანო გელაშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თვითმართველობის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთად სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

მალე დაიწყება ბაკურიანის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია

მორიდებული თხოვნა ჩვენს სასიქადულო და წარმატებულ ხელმძღვანელს, ქალბატონ ეკა ორჯონიკიძეს!

მიხარია და აღფრთოვანებული ვარ, რომ ჩვენ ბაკურიანს აქებენ და ადიდებენ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები!

ამ რამდენიმე წლის წინ წავიკითხე გაზეთში, რომ გეოგრაფიულად, ჩვენგან შორს, სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე ავსტრალიამ ქებით შეამკო ჩვენი ბაკურიანი, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა მათ!

ორი წლის წინ, მსოფლიო ჩემპიონატის, წელს კი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის მონაწილეები უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ ბაკურიანს და ამ შეჯიბრების ორგანიზატორებს. გვიხარია და გვეამაყება!

მერიდება, მაგრამ ახლა ძალიან შემაწუხებელ პრობლემებზე უნდა გავამახვილო ყურადღება: ესაა ბაკურიანის შიდა გზები, აუარებელი ორმოები, ტალახი. ავტომანქანებით მოძრაობა ტანჯვაა, ფეხით კიდევ უარესი.

შევიტყვეთ, რომ თქვენი თაოსნობით, მიმდინარეობს გზებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული სამუშაობები, რომლებიც, ალბათ, რამდენიმე წელი გაგრძელდება. მას შემდეგ, რაც ყველა მოსამზადებელი ეტაპი დასრულდება, მოხარული ვიქნებით, თუ გაიზიარებთ ჩვენს შეხედულებას. ბაკურიანის მთავარ გზებზე უნდა დაიგოს რკინა-ბეტონის საფარი.

ალბათ, იკითხავთ: დიდი თანხა დაჯდება? რა თქმა უნდა, - დიახ! სამაგიეროდ ასფალტის ყოველ წელს შეკეთებას ნამდვილად აჯობებს.

ბაკურიანმა თავისი გამორჩეული ადგილობრივი მოსახლეობის ჩათვლით, უკვე დაიმკვიდრა მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული ადგილი.

პატივცემულო ეკა, ბაკურიანი არასოდეს დაგივიწყებთ იმ წარმატებული პროექტის განხორციელებას, რომელიც წლევანდელი ოლიმპიადის გახსნას და დახურვის ცერემონიალს მიეძღვნა, საქართველოზე ბევრად დიდ სახელმწიფოებსაც გაუჭირდებოდა. ამას ყველა შეამჩნევდა, ვინც ტელეეკრანიდან ადევნებდა თვალს. ასევე ყველა ღონისძიება და ოლიმპიადის მსვლელობა უმაღლეს დონეზე დააორგანიზეთ.

ჩვენო ეკა, იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალშიც გაგვახარებთ ბაკურიანის წინსვლით!

ოთარ გოცირიძე,
88 წლის, ღირსების ორდენის კავალერი, ვეტერანი მოთხილამურე.

რედაქციის მინაწერი: ბაკურიანის შიდა გზების სავალალო მდგომარეობა დიდი ხანია ცნობილია. გზების ერთი ხელის დაკვრით გაკეთება შეუძლებელია. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არამარტო გზების, არამედ მთლიანად ყველა სახის კომუნიკაციები (წყალი, კანალიზაცია, ელდენი, ბუნებრივი აირი) ერთიან სისტემაში მოაქციოს, რისთვისაც საკმაოდ სოლიდური თანხაა გამოყოფილი. ამ მიზნით გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ამ უდიდეს და მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოებს უახლოეს მომავალში, როგორც გვითხრეს 1 აპრილიდან დაიწყებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომუნიკაცია სწორედაც საავტომობილო გზებზე გაივლის და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება ბაკურიანის კომუნიკაციების და საავტომობილო გზების პრობლემაც. რედაქცია ეცდება, შესაძლო ყურადღება მიაქციოს ამ უდიდესი მნიშვნელობის მშენებლობას.

ქვეყნის ხვალინდელი მოქალაქეების გაღასარჩენად

ნარკოდანაშაულზე პასუხისმგებლობა მკაცრდება

დღევანდელი ხელისუფლება ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას გეგმავს. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები 10 მარტს, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ მედიას წარუდგინა.

ცვლილებები გამკაცრების მიმართულებით შეეხება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის სხვა შესაბამის ნორმებს.

- ბოლო წლების განმავლობაში ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისა და გარედან თავსმოხვეული მიდგომების ნაწილი იყო ე.წ. ლიბერალური ნარკოპოლიტიკა, რომელიც ერთდროულად აზიანებს განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანების ფსიქიკას, მათ ჯანმრთელობას, აზიანებს გენოფონდს და არაფერი შეიძლება იყოს უფრო ანტიეროვნული, ანტიქართული, ვიდრე ლიბერალური ნარკოპოლიტიკის შედეგად გამოწვეული ძალიან მძიმე შედეგები, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების გაყიდვისთვის სასჯელი მაქსიმალურად მკაცრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნარკორეალიზატორებისთვის, არათუ განსაკუთრებით დიდი ან დიდი ოდენობის ნარკოტიკის, არამედ მცირე ოდენობით ნარკოტიკის გაყიდვისთვისაც კი სასჯელი 12-იდან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა იქნება.

,,ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით განისაზღვრება ნარკოვაჭრობისა და ნარკომოვაჭრის ცნება და მოწესრიგდება მათთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები. კერძოდ, განისაზღვრება, თუ ვინ შეიძლება იყოს ნარკომოვაჭრის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი და დაკავშირებული პირი. ამასთანავე, დადგინდება, თუ რა ჩაითვლება ნარკომოვაჭრის ქონებად. დაიხვეწება საკანონმდებლო ჩარჩო, რითაც შესაძლებელი გახდება ნარკორეალიზატორისთვის ან ნარკოტიკების გავრცელებაში ხელშემწყობი პირისთვის მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა.

- 2025 წლის პირველი ივნისიდან, იმ შემთხვევაში, თუ პირს დაუდასტურდება ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი ან თუ პირი თავს აარიდებს ნარკოლოგიურ შემოწმებას, მას 3 წლით ჩამოერთმევა ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 5 წლით ჩამოერთმევა საჯარო სამსახურში, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, ასევე იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

ანტინარკოტიკული რეფორმა საპარლამენტო უმრავლესობამ და საპარლამენტო ოპოზიციამ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და მთავრობასთან ერთად შეიმუშავა.

- განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ანტინარკოტიკული და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი არის **საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი**. ამ თემაზე არის აბსოლუტური ერთსულოვნება და იმედი გვაქვს, რომ საზოგადოებაც ბოლომდე დაუდგება გვერდით ანტინარკოტიკულ რეფორმას და საზოგადოებრივი მხარდაჭერით, ჩვენ უკვე რამდენიმე თვის განმავლობაშიც კი პირველი პოზიტიური შედეგები გვექნება. მივმართავთ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომ გაიზიარონ ეს მიდგომები და სახელმწიფოს ამოუდგნენ გვერდში ანტინარკოტიკული კამპანიის წარმოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში. მომავალი თაობების გადარჩენისთვის ჩვენ ვაპირებთ ეს საკითხი - ანტინარკოტიკული რეფორმა, ანტინარკოტიკული კამპანია და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ვაქციოთ განსაკუთრებულ ეროვნულ პრიორიტეტად! - განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

ოფიციალური მონაცემებით, 2024 წლის პირველ კვარტალში საქართველოში მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით 12 ათასმა ნარკოდამოკიდებულმა პირმა ისარგებლა, ნათქვამია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უფასო პროგრამა, რომლის ფარგლებში პაციენტებს ნარკოტიკის ნაცვლად რეგულარულად მეტადონს უნიშნავენ, საქართველოში 2017 წლიდან მოქმედებს.

- ჯანდაცვის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 მარტის პერიოდში ნარკოტიკების მოხმარების შემდეგ დეტოქსიკაციისა და რეაბილიტაციის პროგრამით 396-მა პირმა ისარგებლა.

მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ხვდებიან 21 წელს ზემოთ ნარკოდამოკიდებული პირები.

„ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან“ გაცემული ინფორმაციიდან ჩანს, 2024 წლის პირველ კვარტალში ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით 12 380-მა პირმა ისარგებლა, ეს მაშინ, როდესაც 2023 წელს 15 857 ბენეფიციარი იყო, 2022 წელს კი - 17 646.

2024 წელს რეგულაცია შეიცვალა და გარკვეული შეზღუდვები დაწესდა. ადრე შეიძლებოდა პრეპარატის ხელზე გატანა მათთვის, ვინც მუშაობდა, შეზღუდული შესაძლებლობის იყო, ავადმყოფობდა, გადაადგილდებოდა ქვეყანაში გარკვეული მიზეზების გამო და შორს იყო პროგრამისგან. ამ ადამიანებისთვის შესაძლებელი იყო გარკვეული რაოდენობის პრეპარატის ბინაზე გაცემა. 2024 წლის იანვარში ეს შეიცვალა და ადამიანები პრაქტიკულად ყოველდღე, შაბათ-კვირის, დღესასწაულების, ყველაფრის მიუხედავად, მაინც უნდა მისულიყვნენ დაწესებულებაში, რათა მიეღოთ მედიკამენტი. ამ მიზეზით ბევრი მოქალაქე გავიდა პროგრამიდან და ეს რიცხვებზეც აისახა.

გარდა ამისა ცენტრებამდე მისასვლელად ძირითადად შორი მანძილის გავლა უწევთ. შესაძლოა ერთი რაიონიდან მეორე რაიონშიც კი.

რამდენად ეფექტური იქნება ახალი ნარკოპოლიტიკა, ამას უახლოეს ხანში რიცხვები თავად იტყვიან.

ჩვენ სწორი ხედვითა და სტრატეგიით, ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, დავგეგმოთ სპეციალისტებთან ერთად მოტივაციის მიმცემი პროექტები და გავაძლიეროთ თანადგომა, რომელიც აჩვენებს, რა გზით მიდის მომავალი.

მოამზადა **იზა იანკარაშვილმა**

მეჯლისის პროგრამა დაიხურა

ტელევიზიით გაჟღერდა ინფორმაცია, რომ საქართველოში მეტადონის პროგრამა შეჩერებულია.

საქართველოში ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა პირველად 2004 წელს „გლობალური ფონდის“ დაფინანსებით განხორციელდა. აღნიშნული პროგრამა განკუთვნილი იყო რამდენიმე ათეული პაციენტისთვის და სრულად ფინანსდებოდა გლობალური ფონდის მიერ. პროგრამის ეფექტიანობიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდის შემდეგ, 2008 წლიდან ჩვენს ქვეყანაში ამოქმედდა მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების პრინციპით (პაციენტისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით). ეს პროგრამა არასოდეს ყოფილა კერძო პროგრამა, მისი განმახორციელებელი ყოველთვის იყო ჯანდაცვის სამინისტრო.

2017 წლის ზაფხულიდან გაუქმდა თანადაფინანსების პრინციპი და აღნიშნული სახელმწიფო პროგრამა პაციენტებისთვის გახდა აბსოლუტურად უფასო.

მეტადონი - ხანგრძლივი მოქმედების სინთეზური პრეპარატია, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა XX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების მომხმარებელთა მკურნალობისთვის. ეს იყო ოპიოიდების „აგონისტი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მორფინისა და სხვა ნარკოტიკული პრეპარატების ანალოგიურად 24-36 საათიანი მოქმედებით ხასიათდებოდა.

მეტადონის პროგრამის აკრძალვა გახდება ნაბიჯი ჯანსაღი და მდგრადი ნარკოლოგიური დახმარებისკენ, რომელიც ფოკუსირდება პაციენტების რეალურ გამოჯანმრთელებაზე და არა ახალი დამოკიდებულების შექმნაზე. რესურსების გადანაწილება უფრო სრულყოფილი და ეფექტური მეთოდებისკენ, როგორიცაა ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაცია, შეიძლება გახდეს ოპტიმალური გამოსავალი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საქართველოში, 2024 წლის სტატისტიკური მონაცემებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით 12 ათასზე მეტი ბენეფიციარი სარგებლობდა.

არანაირი ნამალი პროგრამა დეტოქსი ნარკომანიას ვერ მოარჩენს! ადამიანები გაცნობიერებულად „იბოლებოდნენ“ თავს, ვითომ „მკურნალობდნენ“.

ეგ პროგრამა იყო, რომელიც ამბობდა, - ნარკომანია? - ე.ი. იყოს ეს ნარკომანი ზომიერ „კაიფში” (მაინც კაპიკები ღირს), იყოს თავისთვის, „ტომარასავით”კუთხეში, მთავარია, სხვას არ წამოებორკოს ფეხებში და არ ჩაიდინოს სისხლის სამართლის დანაშაული „ლომკის“ გამო.

ამ გზაზე ადვილად სვამდნენ „პოტენციურ გამოსწორებად ადამიანებს და მათ სუბსოციალურ არსებებად აქცევდნენ ამით...

არავის ეგონოს, რომ ეს ჩანაცვლებითი თერაპია ნარკოდამოკიდებულ პირთა მიმართ ყველაზე ლოიალურ და ეფექტიან პროგრამად რჩებოდა მსოფლიოში არსებულ აპრიორბირებულ მეთოდთა შორის.

მე. მაგალითად, ობიექტური ვიქნები, პირადად ჩემი ოჯახის წევრის მაგალითიდან და ხმამაღლა ვიტყვი, რომ სასწაულად გამიხარდა ამ „ნელი სიკვდილის“ პროგრამის შეწყვეტა!

მოამზადა **ნანა კევლიშვილმა**

სასიკეთო ცვლილებები სახეზეა, მაგრამ ხარვეზები გამოსასწორებელია

სოციალური სივრცე ის ადგილია, სადაც ადამიანები საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთს თამამად უზიარებენ, ზოგს არ უჭირს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, ზოგს კი არ შეუძლია საკუთარი ვინაობის დაუფარვად ეკონტაქტოს საზოგადოებას, თუმცა ანონიმურად მაინც ცდილობს, რომ თავისი მოსაზრება გაუზიაროს სხვას. სწორედ ასეთი ანონიმური მონანილის პოსტს წავაწყდი რამდენიმე დღის წინ ბორჯომის ერთ-ერთ გვერდზე, სადაც ანონიმური წევრი ბორჯომში მდებარე ერთ-ერთი სავაჭრო ობიექტის შესახებ წერდა. პიროვნება საყვედურს გამოთქვამდა აღნიშნულ ობიექტში მომუშავე ერთი კონკრეტული პერსონალის მიმართ და იმ აქციების მიმართაც, რომელიც იმ კონკრეტულ ობიექტში სისტემატურად ხორციელდება. მოლარემ, გარკვეული თანხის ნაცვლად, იმაზე მეტი თანხა გამოართვა, თანაც არაერთხელ. მყიდველს, კონკრეტულად კი იმ პიროვნების (ანონიმური ავტორის) დედას. მოკლედ, ანონიმურ მონანილეს ბევრი პიროვნება გამოეხმაურა და უმრავლესობამაც დაადფიქსირა საკუთარი აზრი, რომ აღნიშნულ ობიექტში კონკრეტული პიროვნება ნამდვილად იმაზე მეტ თანხას ახდევინებდა მყიდველებს, ვიდრე პროდუქცია ღირდა. სამწუხაროდ, წლების მანძილზე, მხოლოდ რამდენიმე დასახელების სავაჭრო ობიექტი არსებობდა ბორჯომში, სადაც მოსახლეობა დადიოდა, თუმცა ახლა უამრავი სავაჭრო ქსელი შემოვიდა ჩვენს ყოველდღიურობაში და მოსახლეობასაც თამამად შეუძლია თავისი სურვილისამებრ იქ შევიდეს და ივაჭროს, სადაც მოისურვებს. ჩვენ დავინტერესდით ზემოთ აღნიშნული საკითხით და მოსახლეობაში გამოკითხვა ჩავატარეთ, თუ რომელი სავაჭრო ობიექტებით სარგებლობენ, რამდენად მოსწონთ ის აქციები, რასაც აღნიშნულ სივრცეებში თავაზობენ და ასევე პერსონალი, ვინც იქ მუშაობს, რადგანაც პერსონალი სწორედ ის ადამიანია, რომელიც გულისყურით უნდა მოეკიდოს მყიდველთა მოთხოვნებს და რა თქმა უნდა, დააკმაყოფილოს კიდეც.

ზაზა 50 წლის: - რამდენიმე, ჩემთვის გამორჩეული სავაჭრო ობიექტი მაქვს, სადაც შევდივარ და ვყიდულობ პროდუქტს, ხილს, ბოსტნეულს. ქალაქის ცენტრში ახლადგახსნილი ,,მაგნიტი“ მომწონს. არაჩვეულებრივი აქციები აქვთ ნებისმიერ პროდუქციაზე. საკვებზე, პურ-ფუნთუშეულზე შესანიშნავი ფასებია. საკონდიტროშიც აქვთ ხოლმე ფასდაკლებები. ჭურჭელზე, ტექნიკაზე. მომსახურე პერსონალიც საოცრად გულისხმიერია. ღიმილიანი სახით გვხვდებიან და მეც მიხარია იქ შესვლა. არ მინდა ობიექტი დავასახელო, მაგრამ ერთ-ერთ ობიექტში, რამდენჯერაც აქციით შევიძინე პროდუქტი, სალაროსთან მისულმა აღმოვაჩინე, რომ აქცია დამთავრებული იყო. ამიტომაც, მომინია ისევ ძველი ფასით შეძენა.

ლიკუნა 20 წლის: - ახალშენში ვცხოვრობ და ხშირად ვსარგებლობ ,,გვირილას“, ,,ორი ნაბიჯის“ ,,მაგნიტის“, ,,ლიბრეს“ ქსელის მაღაზიებით. ამ მაღაზიებში მომწონს აქციები, რომელიც თითქმის ყოველდღიურადაა. თქვენ წარმოიდგინეთ, ქალაქის ცენტრში არსებულ ღია ბაზარში, სადაც ხილი და ბოსტნეული ოქროს ფასი ღირს, მაღაზიებში საკმაოდ დაბალი ფასია. შეიძლება გაგიკვირდეთ და რამდენჯერმე ბაზრის გამყიდველებიც კი ვნახე აღნიშნულ მაღაზიებში, სადაც ბანანი და სხვადასხვა ხილი შეიძინეს, დარწმუნებული ვარ, მერე ორმაგ ფასში გაყიდეს. ხანდახან ცოტა გაურკვეველია აქციების მდგომარეობაც, რადგანაც, მგონია, რომ აქციაა და ამ დროს ვარკვევ, რომ თურმე დასრულდა. მაგრამ აჟიოტაჟი არ უნდა ავტეხოთ, ცივილურად შეიძლება ვიკითხოთ და გავარკვიოთ მიზეზი. პოსტი ვნახე სოციალურ ქსელში და ცოტა არ იყოს შემეცოდა მოლარე, რომელიც ხშირად მარტო მუშაობს სალაროსთან და საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისიც ადამიანია და იღლება. ამიტომაც შესაძლოა, შეცდა და თანხა სწორად ვერ დაუბრუნა. უბრალოდ, მომუშავე პერსონალის საკითხს მეტად მივაქცევდი ყურადღებას, მოლარეებიც და კონსულტანტებიც გადაღლამდე არ უნდა მივიდნენ, რომ ნორმალურად შეძლონ მომსახურება და მერე აღარ იქნება საყვედურების მთელი წყება მათზე და მათ ობიექტებზე.

ვოვა 35 წლის: - დღეს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მოსახლეობის უმრავლესობა ცდილობს, რომ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში შეადაროს ფასები და სადაც მისთვის ხელმისაწვდომია, იქ შეიძინოს. ხშირად ვყიდულობ პროდუქტებს ,,ნიკალაში“, სადაც ახალი პროდუქციაა. აქციებიც შესანიშნავია და მოსამსახურე პერსონალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საოცრად გულისხმიერი ადამიანები მუშაობენ ორივე ცვლაში. ნებისმიერ კითხვაზე, მზად არიან პასუხი გაგცენ. მომსახურე პერსონალს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ისედაც სტრესულ მდგომარეობაში გვიწევს ცხოვრება, რომ მიხვალ, რაღაცას ეკითხები ადამიანს და ის უხეშად გპასუხობს, დამერწმუნეთ, ნამდვილად არ გამიჩდება სურვილი მეორედ იქ შევიდე.

რამდენიმე წლის წინ მქონდა შემთხვევა ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტში შევედი და კონსულტანტმა ისე უხეშად მიპასუხა, უარესი რომ არ მეკადრება, შემოვტრიალდი და იმ მაღაზიაში დღესაც არ შევდივარ. ჯერ პატარა რაიონია და მერე კიდევ, რომც არ იყოს, როდესაც შენ იქ მუშაობ, ვალდებული ხარ, რომ პასუხი შესაბამისი გასცე და არა უხეშად.

ნიკოლოზი 60 წლის: - ქალაქის ცენტრში არსებულ სავაჭრო ობიექტებიდან ხშირად ვსარგებლობ ,,ნიკორათი“ და ახლა უკვე ,,მაგნიტით“. რაკიღა თვითონ ,,ნიკორა“ აწარმოებს ხორც-პროდუქტებს, მათ მიმართ ძალიან დიდი ნდობა მაქვს. ამიტომაც მირჩევნია, რომ აღნიშნული პროდუქტები სწორედ ,,ნიკორას“ მაღაზიაში შევიძინო. ასევე ძალიან მომწონს ახლადგახსნილი ,,მაგნიტი“, სადაც სწორედ ისეთი სივრცეა, როგორიც ბორჯომს ეკადრება, ნათელი, უამრავი დასახელების პროდუქციით, შიდა საცხობი სივრცით, სადაც საკუთარი თვალით შეგიძლია დაინახო, როგორ ცხვება პურ-ფუნთუშეული. ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ასეთი ობიექტები სწორედ იქ მაქვს ნანახი და ახლა მე, მართლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ევროპული სტანდარტების მქონე სავაჭრო ობიექტია.

ნინა 68 წლის: - მიხარია, რომ არჩევანის უფლება გვაქვს მოსახლეობას და ეს არჩევანი უკვე მრავალფეროვანია. ბოსტნეულს და ხილს, ვცდილობ, თუ მართლა სხვა გზა არ მაქვს, ,,ორ ნაბიჯში“ ვიყიდო, რადგანაც ხელმისაწვდომი ფასებია. ბაზარში უფრო ძვირი ღირს. ,,ნიკალაშიც“ შესანიშნავი ფასებია. თან არჩევანიც დიდია. აქციებიც აქვთ ხოლმე. მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, აქციები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ყოველთვის არ აქვს მოსახლეობას იმის საშუალება, რომ გარკვეული თანხით შეიძინოს პროდუქტი, ამიტომაც სარგებლობენ აქციებით, რაც მისაღებია. უბრალოდ, ესეც საკითხავია, რამდენად არის კი აქციით ესა თუ ის პროდუქტი? ხან არ არის იმის დრო, რომ რამოდენიმე მაღაზიაში ერთდროულად შეხვიდე და ფასები შეადარო. ჰოდა, გინევს იმ კონკრეტულ მაღაზიაში არსებული აქციით ისარგებლო. მე, პირადად, ყოველთვის ვამოწმებ პროდუქციის შემადგენლობას, ვადას, რადგანაც რამდენიმე მაღაზიაში ვნახე, რომ ფაქტიურად, ერთ-ორ დღეში უკვე ვადა გასდიოდა პროდუქტის რეალიზაციას და არ შემიძინია. ამაზეც უნდა იყოს კონტროლი და რაც მთავარია, მოსახლეობის ნდობის მოპოვებაზე მუშაობაც უმთავრესია.

მოამზადა **ნატალია მესხელმა**

სასჯელი და განაჩენი ჩვენი სამშობლოსი!

იმ დროს, როცა მრავალათასიანი ტირაჟით გამოცემული ტომეულების მთები დაგვემხო თავზე, უნივერსიტეტის ბაღში მოხყენილი იჯდა შოთა ჩანტლაძე, რომელსაც თავის სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ დაუბეჭდავს და არც ერთი წიგნი არ გამოუცია.

არადა, თუ ვინმე იყო, შოთა ჩანტლაძე იყო იმჟამინდელი ქართული სამწერლო საზოგადოების ელიტა.

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაირკვა.

არავინ იცის, რამდენი ასეთი ჩანტლაძე ცხოვრობს დღეს ჩვენს გვერდით, ცხოვრობს ჩუმად, უჩინრად, უხმაუროდ, რადგან ასეთია „ელიტის მკეთებელთა“ სასჯელი და განაჩენი - თუ გინდა მოკლა, არ უნდა შეამჩნიო, არ უნდა უხმო, ტრიბუნა არ უნდა მისცე, თორემ შეიძლება ისეთი რამ წამოსცდეთ, ისეთი რამ თქვას, გონდაბინდული მასა ერთბაშად გამოფხიზლდეს და ჭკუას მოეგოს.

ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის), ან ისინი, რომლებიც უგულვებელყოფენ სულიერ ღირებულებებს. „ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელეშოუების გმირებს, ვიდრე თავისივე თაობის ნიჭიერ პოეტებს, მხატვრებს, კულტურის მოღვაწეებს, მეცნიერებს და, ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს“ - (საშობაო ეპისტოლედან). ამ ზუსტ ამომწურავ შეფასებას ერთ რამეს დავამატებდი: უღირსთა წინ წამოწევა შემთხვევით არ ხდება, ეს მიზანმიმართული პროცესია, რომ ბოლოს და ბოლოს საზოგადოებამ სამაგალითოდ ბრიყვები დაისახოს ბელადებად.

ადამიანთა რაღაც ჯგუფს ჯერ ელიტა უნდა დაარქვა, მერე ეს ელიტა უნდა გარყვნა პრივილეგიებით, ფულით, ფსევდოავტორიტეტით, რომ შემდეგ ამ ელიტამ თვითონ გარყვნას დანარჩენი საზოგადოება - აი, კონცეფცია, რომელსაც ეყრდნობოდნენ დამპყრობლები და კოლონიზატორები და ეს კონცეფცია თითქმის ყოველთვის ამართლებდა, ისე როგორც გააამართლა მან ქართულ სინამდვილეში, როცა ავტომატით შეიარაღებული ელიტა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საკუთარ საშშობლოს დაუპირისპირდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულმა ელიტამ რუსეთის იმპერატორს მაიკო ორბელიანი ჩაუნვინა ლოგინში.

XXI საუკუნეში კი მცდელობა აქვთ, მთელი საქართველო ჩაუნვინონ ახალი ჯურის იმპერატორებს.

საქართველოში, 90-იანებიდან მომდინარეობს ადამიანთა ეს მახინჯი ცერებრალური სორტინგი...

ნუ დაგვავიწყდება, რომ ილიას “ბედნიერი ერი” დიალექტიკური დიაგნოზია...

ლაოძის სიტყვებია, - „უწოდე სნეულებას სნეულება და გაგეცლება სნეულება.“ ანუ, სწორი დიაგნოზის დასმა არის აბსოლუტური წინაპირობა კურნებისა და ჯანმრთელებისათვის.

თუ ჩვენ სწორად არ შევაფასეთ მოვლენები და სწორი დიაგნოზი არ დავსვით, გამორიცხულია, რომ შევძლოთ მერე იქიდიან სწორი გამოსავლის ძიება.

ერთ-ერთი პრიორიტეტული მზაკვრობა გახლავთ მამათა და შვილთა დაპირისპირება. ისტორიიდან ამოგლეჯილ ფრაგმენტებს უახლესი სიუჟეტებით ანაცვლებენ და გაყალბებული, კარგად დაშაქრული დემოკრატიით ფუთავენ.

რა დგას ე.წ. დემოკრატიის უკან და რა მოცემულობას მალავენ კულისებს მიღმა? რით იკვებებიან გაბრიყვებული შვილები და რატომ ხდებიან პროცესების უნებლიე მონაწილენი ისინი?

კულისებს მიღმა სწორ გეოპოლიტიკური სწორხაზოვნებაა, რომელიც მსოფლიო რუკაზე უკვე დიდი ხნის წინ გაავლეს. ერთადერთი გამყოფი ხაზი, რომელიც ჰყოფს ჰარტლენდსა და რიმლენდს.

ამ დროს რა ხდება სხვადასხვა პატარ-პატარა ქვეყნების პოლიტიკურ დაფაზე?! საქართველომ ფიგურათა გადალაგებით მიიღო რთული პოლიტიკური პარტია, რომელსაც “დედოფალიც” ჰყავს და “მეფეც” - ორი პაიკი.

ხალხი - მოტყუებული, გარე არჩევანის უნებლიედ ხელშემწყობი, დროში გაწერილი სცენარის მთავარი ფიგურა.

ნაცისტურ წრფივზე გადაწყობილი ახალი თაობა (მსოფლიო ადამიანი), რომლის “ძალა” საბოლოოდ სისხლიანია.

უკრაინის ხილულ მაგალითზე ნათლად გამოვლინდა ქართველ-სელჩუკთა სწრაფვა და დალაგებული, პერმანენტული სვლა მიზნისკენ. ბრმა ფეხის ხმას ისმენს და არა გონებისას!

ისინი აყალიბებენ სეგმენტს, კლასტერს ჩვენი შვილებისგან, აპირისპირებენ მშობლებს. მშობლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი კანონი ავალდებულებს შვილს უჩივლოს მშობელს. შვილის ხელკეტი რომელიც კანონმა გაამყარა და კანონი რომელმაც მარტივ მამრავლებად დაშალა მშობლის უფლებები!

ნეოკოლონიალიზმი კიდევ უფრო ძლიერად გაიდგამს ფესვებს და ამისთვის ყოველი ახალგაზრდა დირექტივებით იმოქმედებს, რომელსაც მათ ანვდის ქართველ-სელჩუკთა უკვე ფეხმოკიდებული, სარეველად ქცეული კლასტერ ჯგუფი.

ამ უღმერთობის ბალასტ მასასთან ბრძოლა იმდენად გართულდა, რომ მრევლშიც შეაღწია სიძულვილმა. შიგნიდან ღრნიან მშობლის მრწამს და ნებსით თუ უნებლიე “მჭერმეტყველობით” გზაკვალს ურევენ ისედაც ცხვრის ფარად ქცეულ გოხდაკარგულ შვილებს თუ შვილიშვილებს.

საბოლოოდ რას მივიღებთ? იმას რაც ასე რიგად სწადიათ ანგლო-საქს ჰარტლენდმენებს.

და დღეს, როგორც არასდროს, რა გვჭირდება?! - ღვთისმოსაობა, ობიექტურობა, სიყვარული, ერთობა, მხნეობა, ძლიერება, გამტანობა, ალალმართლობა, ზნეობა!

კაცთა შორის სათნოება, ქვეყნისთვის სწორი გზით სიარული და უფლის გულისმიერი სიყვარული თუ გადაგვარჩენს!

მოამზადა ნანა კევლიშვილმა

(გაგრძელება, დასაწყისი
იხ. გაზეთი „ბორჯომი“, №11.2025 წელი.)

„ოცნების გემი ტბაზე“

ბოლო წლებია სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი უბრუნდება მშობლიურ დაბა-სოფლებში წინაპართა მიწას და კიდევ მეტად სასიხარულო და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ადამიანთა უმრავლესობა სწორედ ახალგაზრდები არიან, რომლებიც საკუთარი იდეებისა თუ ოცნებების რეალიზებას მამა-პაპისეულ კერაზე ცდილობენ.

ხელოვანი, გიორგი გოგოლიძეც სწორედ იმ ახალგაზრდათაგანია, რომელიც კურორტ ტბაზე წინაპართა მიწაზე დაბრუნდა და თავისი ხელით ააგო „ოცნების გემი“. დიახ, გაგიკვირდებათ, გემი საკუთარი ხელით გამოაჩუქურთმა ხეში. სწორედ აღნიშნულ გემზე სულ რამდენიმე თვეში ადგილობრივებს და კურორტზე ჩამოსულ სტუმრებს გასართობი სივრცე დახვდებათ. რა ეტაპზეა მშენებლობის პროცესი და რას პირდება გემის ახალგაზრდა მშენებელი მომხმარებელს, გიორგი თვითონ მოგვიყვება.

გიორგი, სულ თავიდან დავიწყოთ. თქვენი ძირითადი საქმიანობა ხეზე კვეთას უკავშირდება. რამდენი წელია, რაც ამ საქმიანობით ხართ დაკავებული და რას ამზადებთ?

- თითქმის 7 წელია, რაც ხესთან დავმეგობრდი. სრულიად გამოუსადეგარ ხეს ახალ სიცოცხლეს ვანიჭებ. ვამზადებ ავეჯს, სკამებს, მაგიდებს, სუვენირებს. პირველი ნამუშევრები ცაცხვის ხით შევქმენი, რადგანაც რბილი ხეა, სასიამოვნო სურნელით. ცაცხვის ხით ჩემ შვილს ვუმზადებდი სათამაშოებს. აი, ბოლო პერიოდი კი გემის შენებით ვარ დაკავებული.

მართლაც საოცარი, ცოტა უცნაური და წარმოუდგენელი სიახლეა „გემი ტბაზე“. საიდან გაჩდა გემის აშენების იდეა?

- ერთ დღეს მეგობრებთან ვთქვი, რომ ტბაზე გემს ავაშენებდი და რამდენიმე წლის შემდეგ ავაშენე კიდეც.

გემი მთლიანად ხის კონსტრუქციაა? მასალად რომელი ხე გაქვს გამოყენებული?

- გემი მთლიანად ჩემ მიერ დამზადებული ხის ნაკეთობების ერთობლიობა იქნება. ძირითად მასალად გამოვიყენე ნაძვი, ფიჭვი, კაკალი, მუხა. მოკლედ, სხვადასხვა ხეების ერთობლიობაა. ყველა ხეს თავისებური მიდგომა ჭირდება, თითოეული დეტალი სხვადასხვანაირი სიმძიმის მუშაობას მოითხოვს და თავისებური დამუშავება ესაჭიროება. თუმცა, ბედნიერი ვარ, რომ ჩანაფიქრი რეალობად ვაქციე.

გემი რა ფართობს მოიცავს, სულ რამდენი სართული იქნება და რა დატვირთვა ექნება საბოლოოდ?

- 60 კვადრატული მეტრის მოცულობისაა გემის ძირი, ხოლო მეორე სართული უფრო მეტი ფართობისაა. ძირითადი დანიშნულება იქნება ბარი, რომელიც პირველ სართულზე განთავსდება, ხოლო პირველ ეტაპზე, მეორე სართულზე იქნება მისაღები და საძინებელი სივრცე.

სახელი თუ გაქვთ მოფიქრებული?

- რამდენიმე ვარიანტს განვიხილავთ. ერთ-ერთი ვარიანტია „სახლი ტბაზე“. ვნახოთ, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ მაქვს.

ვინ არიან თქვენი ყველაზე დიდი გულშემატკივრები და ვინ გეხმარებათ?

- ყველაზე დიდი გულშემატკივრები ჩემი მშობლები არიან. ასევე მეგობრები, რომლებიც შეძლებისდაგვარად გვერდში მიდგანან. შენების პროცესში საკმაოდ დიდი ზომის ხეები იყო ასაწევი და ამას მარტო ნამდვილად ვერ შევძლებდი, მეგობრები დამეხმარნენ.

რა ეტაპზეა შენების პროცესი და როდის ვარაუდობთ გახსნას?

- ამ ეტაპზე გარეთა სამუშაოები დასრულებულია. შიდა ინტერიერზე ვმუშაობ და ვვარაუდობ, რომ ზაფხულამდე დავასრულებ. დიდი მოლოდინები მაქვს. მიხარია, რომ ადგილობრივებს და ჩამოსულ სტუმრებს კურორტ ტბაზე განსხვავებულ და რაც მთავარია, სასიამოვნო სივრცეს შევთავაზებ.

წარმატებებს გისურვებთ. თქვენ „გემს ტბაზე“ მალე გაეშალოს ოცნების ასრულების იალქნები.

ნაჭო მელიქიძე

ისტორიის ლაბირინთებში

უსახელო მეფეთა საგანძური



მეექვსე სამარხში მიცვალებული კუბოში იწვა თავით დასავლეთის მიმართულებით. თავს უმშვენებდა ოქროს ასაწყობი გვირგვინი. სახეზე შემოვლებული ჰქონდა ოქროს ბუნიკები, ერთნაირი გამოსახულებებით. ბუნიკებზე გამოსხმული იყო ფეხზე მდგომი ქალის ფიგურა. მას ჰქონდა მრგვალი სახე, სწორი ცხვირით და თვალების ვიწრო ჭრილით. თავზე ეკეთა მასიური ოქროს დიადემა. ქალის ფიგურას ორივე მხარეს გამოსახული იყო ფანტასტიკური ცხოველები.

არქეოლოგები აღნიშნავენ, რომ ქალის ფიგურა წააგავს აღმოსავლეთ ირანის ქალღმერთს - ანახიტას, რომელიც წარმოადგენს წყლისა და მოსავლის ქალღმერთს. მასზე ჩამოსხმულია მომღიმარე კატის ფიგურა და მას შუბლზე აქვს ნახევარმთვარე.

მიცვალებულს ნიკაპი აკრული ჰქონდა ოქროს ლენტით, კისერზე ეკეთა მასიური ოქროს ყელსაბამი. იგი გახვეული იყო ოქროს მკერდით ნაქსოვ ქსოვილში, რომელზეც დამაგრებული იყო ასეულობით ოქროს გულსაბნევი. ორივე მაჯაზე მიცვალებულს ჰქონდა მასიური ოქროს სამაჯურები. მარჯვენა ხელში ეკავა ძალიან თხელი ოქროს ფურცლისაგან დამზადებული კვერთხი. კუბოს გვერდით მიმობნეული იყო ოქროს უამრავი სარიტუალო ნივთები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოქროს ბუდეში ჩასმული ჩინური სარკე.

ანთროპოლოგების დასკვნით, სამარხში ესვენა დაახლოებით 30 ხლამდე ასაკის ქალი, რომელიც განსაკუთრებით მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა. ოქროს გვირგვინი და კვერთხიც მიუთითებდა, რომ ის იყო დედოფალი, ხოლო იმ დროს დედოფლები ყავდათ მომთაბარე ტომებს.

ყელთან მიცვალებულს ეწყო რომაული მონეტები. მონეტის ერთ გვერდზე გამოსახული იყო წვერებიანი მამაკაცი, ხოლო მეორე მხარეს ამოტვიფრული იყო ტახტზე მჯდარი მოისრე. მონეტაზე იყო ბერძნული წარწერა, რომელიც გვამცნობდა, რომ იგი ეკუთვნოდა პართიის მეფე ფრაატ IV-ს, რომელიც მართავდა სახელმწიფოს ჩვენწელთაღრიცხვამდე 38-2 წლებში.

მიცვალებულს მარცხენა ხელში ჩაბღუჯული ჰქონდა კიდევ ერთი მონეტა ბერძნული წარწერით. აქაც მოხსენიებული იყო პართიის მეფე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბაქტრიის სახელმწიფო გარკვეულ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო პართიის სახელმწიფოსთან. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ასეთი ოქროს მონეტები სავაჭრო ბრუნვაში არ იყო, იგი, როგორც მონეტა, მედალიონი ამშვენებდა დედოფალს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს მის მაღალ ტემპერატურაზე.

არქეოლოგიური სამუშაობები მთავრდებოდა, როცა მუშებმა აღმოაჩინეს მეშვიდე სამარხი, მაგრამ ექსპედიციის გასავათებულ წევრებს უკვე აღარ შეეძლოთ. სამუშაოების გაგრძელება და მთელი ექსპონატები ჩაბარებულ იქნა ქაბულის სახელმწიფო ბანკში.

მთლიანად ექვსი სამარხიდან ამოღებული იქნა 20 ათასზე მეტი ოქროს ნივთი. არასდროს ამ სიმდიდრის მსგავსი აზიის და ამ რეგიონში მსოფლიო არქეოლოგიის პრაქტიკაში არ უნახავთ. მეცნიერები სვამენ კითხვებს, თუ სად იყო ამ მეფეთა რეზინდეცია? მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტილი-ტეფეს მახლობლად არის ქალაქი ემში-ტეფე, რომელიც იყო ერთ-ერთი ამ რეგიონის დედაქალაქი. იქ იყო ადგილობრივი მმართველის რეზიდენცია, რომელიც მდებარეობდა აგურის პლატფორმის ციტადელზე.

ციტადელიდან კარგად ჩანს ტილი-ტეფეს მაღლობი. ფაქტია, რომ მიცვალებულების დაკრძალვა ხდებოდა საიდუმლოდ გვიან ღამით, ისეთი სისწრაფით, რომ საფლავები იჭრებოდა ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე. საფლავის კედლები უბრალო თიხითაც კი არ იყო შელესილი, ამიტომ გადაურჩა იგი მძარცველებს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ არსებობდა კიდევ ერთი ბუტაფორიული სამარხი, სადაც იმართებოდა ყალბი დაკრძალვის პროცესები. როგორც ზევით ავღნიშნეთ, ციტადელიდან მმართველებს შეეძლოთ თვალყური ედევნებიათ ტილი-ტეფეს მაღლობზე ნამდვილი სამარხებისთვის.

ტილი-ტეფეს გათხრების მასალებიც ცხადყოფენ, რომ ბაქტრიის სახელმწიფოზე დიდი გავლენა ჰქონდა იმდროინდელ ჩინეთსა და ინდოეთს.

თამაზ ჩიკვაიძე

(გაგრძელება, დასაწყისი
იხ. გაზეთი „ბორჯომი“, №6, №8, №11.2025 წელი.)

იუბილარი
საამაყო ბორჯომელი

გასულ კვირას, ბორჯომელთათვის ღირსეულ და პატივსაცემ პიროვნებას, საამაყო ბორჯომელს - ბატონ პეტრე ფიასამიძეს საიუბილეო თარიღი შეუსრულდა - 75 წელს გამართულად და ღირსეულად შეხვდა!

ბატონი პეტრე, ბორჯომის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში, წლებია მხატვარ-დეკორატორად მუშაობს. მისი ნამუშევრები ალამაზებენ თეატრის სპექტაკლებს.იქვე, ხატვის მოყვარულთა წრესაც ემსახურება და სრულად უანგაროდ აზიარებს ბავშვებს ფერწერის ჯადოქრობას.

წლების განმავლობაში ზრუნავს ჩვენი ზღაპარ-ქალაქის კიდევ უფრო გალამაზებაზე - ძველი მოზაიკის განახლება იქნება ეს თუ სხვადასხვა დავალებების პირნათლად და უანგაროდ შესრულება.

როგორც არაერთი ბორჯომელის სახლის კედლებს, ჩემს კედელსაც ჰშვენის მისი ულამაზესი ნახატი.

ბატონი პეტრე წლებია მარტო-კაცის ჭაპანს ეწევა... მეუღლე წლების წინ გარდაეცვალა. დამერწმუნებით, კაცისთვის არაა ადვილი ამ სტატუსის მორგება, თუმცა ბატონი პეტრე ღირსეულად ართმევს თავს ყოველივეს და... როგორ თავსდება ერთ ადამიანში სიმარტოვე და სიყვარული - ის ამის თვალსაჩინო მაგალითია!

ჰყავს 3 შვილი და 8 შვილიშვილი. ერთი შვილი იტალიაში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, დანარჩენი ორი - ჩვენი ქალაქის მკვიდრნი არიან ოჯახებითურთ...

მე, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ ჩემს უფროს მეგობარს (მიკერძოებად არ ჩამითვალოთ) იუბილეს!!!

იგი ყველასათვის საყვარელი, საამედო, ერთგული, მზრუნველი, კეთილი, ყველანაირი ღირსებით შემკული ადამიანია!

ჯანმრთელობას, დღეგრძელობას ვუსურვებ თავის გემრიელ ადამიანებთან ერთად და ისევ და ისევ მოფუსფუსე-შემოქმედებით წვას თავის საყვარელ საქმიანობაში!!!

დაფასებულ-გალაღებული მენახეთ მუდამ, ბატონო პეტრე!

დააბიჯებს ბორჯომის ქუჩებში ბატონი პეტრე, შესანიშნავი პიროვნება და შემოქმედი, იმკის ბორჯომელთა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას.

ნანა კევლიშვილი

მეოთხე ეტაპი გუდაურში



15-16 მარტს, გუდაურში 2025 წლის საქართველოს სამთო-სათხილამურო რეგიონალური თასის მეოთხე ეტაპი გაიმართა სლალომსა და გიგანტურ სლალომში.

შეჯიბრში თბილისის, გუდაურის, ბაკურიანის, მესტიის და აჭარის გუნდის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. სპორტსმენები ტრადიციულად სამ ასაკობრივ ჯგუფად დაიყო.

ბაკურიანელი მოთხილამურეების შედეგები ასეთია:

2011-2012 წლებში დაბადებული გოგონები:

თეკლა ვიბლიანმა ორივე საშეჯიბრო დღეს პირველი ადგილი დაიკავა. **ანანო სანაკოევი** სლალომში მეორე იყო, გიგანტურ სლალომში კი მესამე.

ვაჟები: **ალექსანდრე მურადიანი** სლალომში პირველი იყო, გიგანტში მესამე ადგილს დასჯერდა. **ალექსანდრე ნასყიდაშვილი** გიგანტურ სლალომში პირველი იყო.

2009-2010 წლებში დაბადებული გოგონები:

ნინო გეორქოვი სლალომი - პირველი ადგილი, გიგანტი - მეორე. **ანასტასია ვიბლიანი** გიგანტში პირველი იყო, სლალომში - მეორე. ამით დასრულდა 2025 წლის საქართველოს სამთო-სათხილამურო რეგიონული თასის ეტაპები. ამ დღესვე გამოვლინდნენ 2025 წლის თასის მფლობელებიც. ბაკურიანელთაგან დიდი თასის მფლობელები გახდნენ **ალექსანდრე ნასყიდაშვილი** (2011-2012წწ) და **ნინო გეორქოვი** (2009-2010).

სამთო კურორტებზე საქართველოს თასის გათამაშების ჩატარებას ყველა ეტაპზე ხელს უწყობენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები: სვანეთი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი. საქართველოს თასის გათამაშების რეგიონული ეტაპები სათხილამურო ფედერაციის და M.T.A („ემ თი ეი“) -ს თანაორგანიზებით და ,,სილქნეტის“ ტრადიციული მხარდაჭერით იმართება. მეოთხე ეტაპის შემდეგ, გუდაური უკვე საქართველოს ჩემპიონატისთვის მოემზადება. ის მოთხილამურეები, რომლებიც საქართველოს თასის გათამაშების რეგიონულ ეტაპებზე დააგროვებენ მაღალრეიტინგულ ქულებს, 2025 წლის საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ჩემპიონატი გუდაურში 3-4 აპრილს, ,,სილქნეტის“ მხარდაჭერით ჩატარდება. კომპანია მეორე ათეული წელია სათხილამურო ფედერაციის გენერალური სპონსორია და დაარსების დღიდან უწყვეტად უჭერს მხარს სათხილამურო სპორტის განვითარებას საქართველოში.

საინფორმაციო მხარდამჭერი და მედია პარტნიორია ,,ევრონიუს საქართველო“.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი ნერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

დაჯილდოვდნენ აქტიური მკითხველები

ამას წინათ, ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში გამართული ღონისძიება მიეძღვნა დედებს, ქალთა საერთაშორისო დღეს და აქტიურ მკითხველთა დაჯილდოებას. ამასთან, ბიბლიოთეკის დირექციამ საზეიმო დღეს დაამთხვია ეს ორი ღონისძიება და კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. მხატვრული ნაწარმოებების კითხვა კვლავ პოპულარული ხდება საზოგადოებაში.

წიგნისადმი სიყვარული იბრუნებს კუთვნილ ადგილს მკითხველებში. დედა ენა ხომ დედამ გვასწავლა და ჩვენს წიგნიერებაში დედებს ლომის წილი მიუძღვით და განსაკუთრებით მისასალმებელია მოსწავლე-ახალგაზრდობის მხატვრული ლიტერატურისადმი დიდი დაინტერესება.

მხატვრული ლიტერატურის სიყვარულის გააქტიურებაში უდავოდ დიდია გამომცემლობა ,,ბიბლუსის“ მიერ შესანიშნავი გამოცემების მოზღვავება და ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების (**დირექტორი ნაირა ამანათაშვილი**) ქალაქის, დაბებისა და სოფლების ბიბლიოთეკების თანამშრომელთა გააქტიურება, რომლებიც ბევრს მუშაობენ მკითხველთა მოზიდვისათვის და მათთვის საინტერესო წიგნების შერჩევისათვის.

იმ დღეს, საქალაქო ბიბლიოთეკაში მოსწავლე-ახალგაზრდობა შეიკრიბა, რომელთაც ქალბატონმა **ნაირა ამანათაშვილმა** გულთბილად მიულოცა ქალთა დღესასწაულები და წარმატებები უსურვა სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხაზი გაუსვა მხატვრული ლიტერატურის უდიდეს მნიშვნელობას ახალგაზრდების გონებრივ განვითარებაში. წიგნის უდიდეს მნიშვნელობაზე და სიკეთეზე ვრცლად ისაუბრეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა, ქალბატონებმა **მანანა გელაშვილმა, ნანა ალხაზიშვილმა, ნანა გაიხარაშვილმა, ნინო ხითარიშვილმა, დარეჯან კუპრაძემ, ნანა სალაღაიამ** და სხვებმა.

მკითხველთან შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა გაზეთ ,,ბორჯომი“-ს რედაქტორი, **ვალერიან ლომიძე,** რომელმაც ყურადღება გაამახვილა წიგნის მნიშვნელობაზე, რაც უდავოდ დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერების ფორმირებაზე. მოუწოდა ახალგაზრდებს წიგნისადმი ერთგულებისაკენ.

დასასრულს, ქალბატონმა **ნაირა ამანათაშვილმა** მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლების ბიბლიოთეკების საუკეთესო მკითხველები დააჯილდოვა საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

დაჯილდოვებულთა შორის არიან ყვიბისელი **ქეთევან გელაშვილი,** ნაღვრელი - **ელენე ერგემლიძე**, მზეთამზელი - **მარიამ გოგოლაძე**, ანდეზიტელი - **მარიამ ნოზაძე**; საბავშვო ბიბლიოთეკიდან - **გიორგი ბოგიშვილი**, კორტანეთიდან - **ლიზი გელაშვილი**, ტბიდან - **თამარ გელაშვილი**, რველიდან - **ქრისტინე გურგენიძე**, ახალდაბიდან - **ნინო ხაჩიძე** და **იზო ჩადუნელი**, ბაკურიანიდან - **მარი ბანდური** და **ომარ აბრამაშვილი**, ცემიდან - **ლუიზა ტაბატაძე**, ჭობისხევიდან - **სიდონია ლონდარიძე**, ვაშლოვანიდან - **ელენე გელაშვილი**, ახალი უბნიდან - **ანასტასია გედიანიძე**, ქვაბისხევიდან - **იოანე კალანდაძე**, ზანავიდან - **ქეთევან რაზმაძე**, ჩითახევიდან - **მარიამ ხაჩიძე**, ცენტრალური ბიბლიოთეკიდან - **მარიამ კამკამიძე**, **ხათუნა ურჩაძე**, დვირიდან - **ლამზირა ლომსაძე**, ტაძრისიდან - **ვარა შაყულაშვილი**.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, მხარეთმცოდნეობის დირექტორი **აკაკი სარალიძე**, რომელმაც ვრცლად ისაუბრა წიგნის მნიშვნელობასა და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა გულისხმიერ და თავაზიან მომსახურებაზე.

დასასრულს ბიბლიოთეკის შეხვედრის კოორდინატორმა, ქალბატონმა ნანა სალაღაიამ ლამაზი ლექსი მიუძღვნა შეკრებილებს და მადლობა გადაუხადა ყველას, ბიბლიოთეკებთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

ასეთი შინაარსიანი ღონისძიებები ნამდვილად მიზანმიმართული და საინტერესოა.

დააკვირდი ადამიანებს და არასდროს მოიქცე მათსავით!

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი - ყოველწლიური შეჯიბრებაა, რომელიც იმართება ევროპის მაუწყებელთა გაერთიანების (European Broadcasting Union (EBU)) აქტიურ წევრებს შორის. თითოეული წევრი ქვეყანა ირჩევს და წარმოადგენს სიმღერას, რომელიც ცოცხლად უნდა შესრულდეს ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, ხოლო შემდეგ ხმას აძლევს სხვა ქვეყნის შემსრულებლებს, რათა გამოვლინდეს წლის ყველაზე პოპულარული სიმღერა. ყოველი ქვეყანა მონაწილეობას იღებს ერთერთი მათი ნაციონალური EBU-ს წევრი ტელევიზიის მეშვეობით. ამ ტელევიზიის მიზანია შეარჩიოს მომღერალი, რომელიც ქვეყნის წარმომადგენელი იქნება საერთაშორისო კონკურსზე.

წელს, ამ კონკურსზე, ჩვენს ქვეყანას, მომღერალი მარიამ შენგელია წარმოადგენს.

ფსევდოლიბერალების ღია ბრძოლა ყველაფერ ქართულთან გრძელდება და ამჯერად მათი სამიზნე მარიამ შენგელია გახდა.

უკვე რამდენიმე დღეა, მარიამის მიმართ სოციალური ქსელით ბულინგი ხორციელდება. მათ შორის ევროვიზიის ოფიციალურ გვერდზე, კომენტარებში პირდაპირ მოითხოვენ, რომ საქართველო კონკურსიდან მოხსნან. ნაწილი წერს, რომ ქვეყანამ ევროვიზიაზე ბოლო ადგილი უნდა დაიკავოს.

ჩემი აღშფოთება იმდენად დიდია ამ არასასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით, რომ ვერანაირად ვერ დავრჩი გულგრილი, ერთი-ორი სიტყვა არ დამეწერა.

როგორ შეიძლება ქართველს ასე ეზიზღებოდეს ქართველი?

ამხელა სიძულვილი და ბულინგი სადამდე მიაქანებს ჩვენს ქვეყანას?!..

„სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ჯოჯოხეთი ღმერთს არ შეუქმნია. მას ჩვენ ვქმნით - ადამიანები"...

ნუთუ, ერთი წამითაც არ დაფიქრებულხართ, ამხელა დოზის ბულინგს თუ რანაირი ზიანის მიყენება შეუძლია ერთი სიფრიფანა გოგოს ემოციურ მდგომარეობაზე? რომელსაც, რა უნდა? რას აშავებს?!.. უბრალოდ, უნდა, რომ იმღეროს, სხვა არაფერი!

მესმის, რომ მუსიკალური გემოვნების საკითხია და ბუნებრივად შესაძლებელია არ მოგწონდეთ ესა თუ ის სიმღერა, მაგრამ ასეთი ზიზღი, ვეებერთელა, ნეგატიური შეფასებები და „წყევლა-კრულვა“ სოციალურ ქსელსა თუ იუთუბი-ზე, ნამდვილად სირცხვილია!

დავიჯერო, ვინც უარყოფით კომენტარს წერენ, ყველა სუპერ მუსიკოსი და გამოცდილი სპეციალისტები არიან? მათი მოსანონი ,,ფერი" ხომ ვერცერთმა მომღერალმა ვერ აანთო ვერცერთ ჯერზე!

ევროვიზიისთვის რა არის მისაღები, ძნელი გასარკვევია. ახლანდელი ევროპა მუსიკალურ გემოვნებაში ცოტა მოიკოჭლებს, ობიექტურობაშიც (მაგ კონკურსზე ყოველ შემთხვევაში). იქ, მილიონებს აკეთებენ და აქ, თქვენ ნერვებს არ უფრთხილდებით, ნუ გაუსწრებთ მოვლენებს!

ადამიანები ვერ სწავლობენ განასხვაონ და გამიჯნონ ერთმანეთისაგან პოლიტიკა და ხელოვნება!!! სამწუხაროა...

უცხოელს რატომ უნდა შევუქმნათ შთაბეჭდილება იმისა, რომ ქართველები სიძულვილით სავსე ერი ვართ?!..

შარშან ნუცას ერგო ბულინგი, წელს - მარიამს, მერე კიდევ გამოჩნდება მორიგი სამიზნე დაა...



ჩვეულებრივი მკვლელები ხართ, სიტყვით მკვლელები!!! ერთი ადამიანის ლამაზი ოცნებების მკვლელები!!!

უცბად, დათო ყანჩაშვილის ვერლიბრი გამახსენდა:

„იქნებ სჯობდა,
ჩვენც გადავშენებულიყავით
დიდი გამყინვარებისას დინოზავრებთან ერთად და სიცივეს ჩვენს გულებში და გონებაში არ შეეღწია.
იქნებ სჯობდა, ჩვენი ნაფეხურები აღმოეჩინათ უცხოპლანეტელებს და ჩვენი ნარჩენები მუზეუმებში გამოეფინათ წარწერით: „სიცოცხლისთვის სახიფათოა“.

მინდა, ფეხებით შედგეს ამ ბულინგზე მარიამი, გაიაროს, მაღლა-მაღლა ავიდეს და წარმატებაში ეთარგმნოს მერე ეს ბულინგი ცისთვალა გოგოს!

რაც მთავარია, ქართული მოტივებითა და ეროვნული ელემენტებით დატვირთული პროექტია, რომელიც საერთაშორისო კონკურსზე ზუსტად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის კულტურულ იდენტობას - ქართულია ვიზუალით, სამოსითა და სიმღერით!

საქართველოს და ქართულ სულს გაუმარჯოს ყველგან და ყოველთვის!!!

ნანა კევლიშვილი

კოლეგები ემშვიდობებიან

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სამედიცინო საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა, მოულოდნელად გარდაიცვალა ერთ-ერთი გამორჩეული და საკუთარ პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, დონარა (დოდო) გერონტის ასული კურტანიძე.



დონარა(დოდო) კურტანიძე დაიბადა 1956 წლის 14 მაისს ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში. საშუალო სკოლის და სამედიცინო სასწავლებლის დასრულებისთანავე 1977 წლიდან დღემდე ,თითქმის ნახევარი საუკუნე , მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ ბორჯომის რაისაავადმყოფოში და შემდეგ „ჯეო ჰოსპიტალსის'' მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. (გახლდათ რეანიმაცია-ინტენსიური თერაპიის მიმართულების პასუხისმგებელი ექთანი). თითოეული ავადმყოფის მიმართ განსაკუთრებული სითბოთი და თანადგომით გამოირჩეოდა. იგი ერთგულად ემსახურებოდა არა მარტო ავადმყოფებს, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობით მონაწილეობდა საკუთარი ობოლი ძმისშვილებისა და დისშვილების აღზრდაში.

კოლექტივში დოდო განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით გამორჩეოდა. იგი ნამდვილი პროფესიონალი, უღალატო, საოცრად პასუხისმგებლიანი, მუდამ იმედით, ოპტიმიზმითა და შემართებით აღსავსე ადამიანი იყო.

დოდოს ამ ქვეყნიდან წასვლა უდიდესი დანაკლისია თითოეული ჩვენთაგანისათვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

შპს „ჯეო ჰოსპიტალსის'' ბორჯომის მრავალპროფილური

სამედიცინო ცენტრის კოლექტივი

შევნიშნეთ, გავასწორეთ!

გაზეთ „ბორჯომის" 2025 წლის 13 მარტის N11 -ში გასულ ინტერვიუში, სახელწოდებით „სომხეთში მიწვეული კიკბოგსინგელები„ტექსტში-„მარიამი და ლუკა-მეორე ადგილის, ხოლო მათე-მესამე ადგილის პრიზიორია" , უნდა ეწეროს მარიამი, ლუკა და მათე საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.